

საქართველოს ილია
ჭავჭავაძის სახელობის
საერთაშორისო
სამეცნიერო-
კულტურულ-
საგანმანათლებლო
კავშირი „საზოგადოება
ცოდნა“

[საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი]

საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ფარმაცია



საქართველოს ილია
ჭავჭავაძის სახელობის
საერთაშორისო
სამეცნიერო-
კულტურულ-
საგანმანათლებლო
კავშირი „საზოგადოება
ცოდნა“

[საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი]

ზოგადი ინფორმაცია:

საგანმანათლებლო დაწესებულების მისამართი: კოსტავას 47; ტელეფონი:
2997112; 2990035; 599400048

საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი: პროფესორი ნუგზარ
წერეთელი.

ინფორმაცია ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: ფარმაცია;

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჯანდაცვის ბაკალავრი ფარმაციაში.

პროგრამის მოცულობა - 242კრედიტი.

პროგრამის ხელმძღვანელი - ნაილი შენგელიძე; (ტელეფონი: 599972748

ელექტრონული ფოსტა: naili1227@mail.ru)



საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები

- მოამზადოს სტუდენტები:
- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული დირექტივებისა და რეკომენდაციების საფუძველზე ფარმაცევტული პრაქტიკის სათანადო ორგანიზაციისათვის საჭირო თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტი.

- ✚ გააფართოოს უმაღლესი სწავლების ფუნდამენტურობა ბოლონის პროცესთან მაქსიმალურად მიახლოების გზით;
- ✚ დანერგოს ეფექტური სწავლების მოტივირებული სისტემა, რომელიც მიმართული იქნება თეორიული საფუძვლების სათანადო ათვისებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების განმტკიცებისაკენ.
- ✚ აამაღლოს ინგლისური ენის, როგორც საერთაშორისო კომუნიკაციის საშუალების სწავლების ეფექტურობა.
- ✚ დანერგოს ახალი თაობის საგანმანათლებლო სტანდარტები სწავლების პროცესში;
- ✚ სწავლის პროცესში გამოიყენოს უახლესი საგანმანათლებლო ტექნოლოგიები.
- მისცეს სტუდენტებს ის ცოდნა და განუვითაროს უნარები, რომელიც უზრუნველყოფს ფარმაციის სფეროში მის დასაქმებას მრავალფეროვანი შესაძლებლობით:
- გახადოს ორიენტირებული სწავლაზე და განუვითაროს ის უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია წარმატებული კარიერისათვის:

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად სტუდენტმა უნდა შეძლოს ფარმაციის სპეციალობის უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურა) სწავლის გაგრძელება:

- პროფესიული ეთიკისა და დეონტოლოგიის, პროფილური დისციპლინების საფუძვლების შესწავლით ხელს შეუწყობს ქვეყანაში რაციონალური ფარმაცოთერაპიის დამკვიდრებას.
- პროგრამა უზრუნველყოფს სწავლებისა და სწავლის მაღალ ხარისხს.



საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს თეორიული ცოდნა, გამოიმუშაოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებით:

ცოდნა და გაცნობიერება:

ფარმაციის, როგორც ფუნდამენტური მეცნიერების სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიული საკითხებისა და პრაქტიკული საქმიანობის პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას.

ბაკლავრიატის საფეხურის მოთხოვნათა შესაბამისად სტუდენტმა იცის და აცნობიერებს:

1.1. ქიმიური დისციპლინების, ფიზიკისა და მათემატიკის ძირითად კანონებსა და კატეგორიებს მაპროფილებელი დისციპლინების შესწავლისათვის მყარი ცოდნის ფუნდამენტის შესაქმნელად;

1.2. ცოცხალი ორგანიზმების აგებულებას, მათში მიმდინარე ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ პროცესებს. სხვადასხვა პათოლოგიებით გამოწვეულ ცვლილებებს და მათ ძირითად არსსს;

1.3. სამკურნალო საშუალებების ნომენკლატურის, კლასიფიკაციის, მიღების გზების, სამკურნალო საშუალებების სტრუქტურის – ფიზიკურ-ქიმიური თვისებების – ანალიზის მეთოდების – სტანდარტიზაციის – ფარმაკოლოგიური აქტივობის, სტაბილურობის – წამლის ფორმების – შენახვის პირობების

ურთიერთდამოკიდებულებას და კავშირს და აცნობიერებს ამ კავშირის ძირითად არსს სამკურნალო საშუალებების შექმნის, ხარისხის შეფასების და მიმოქცევის ნებისმიერ ეტაპზე;

1.4. ბუნებრივი (მცენარეული, ცხოველური, მიკრობიოლოგიური და სხვა) ნედლეულის ხარისხობრივ შეფასებას და მათი სამკურნალო პრეპარატების შექმნაში გაცნობიერების დემონსტრირებას;

1.5. წამლის ფორმების წარმოების ტექნოლოგიის თავისებურებებისა და მათი ხარისხობრივი შეფასების მეთოდებს და ამ ცოდნის საფუძველზე წამლის მიმოქცევის ნებისმიერ ეტაპზე გამოყენების დემონსტრირებას;

1.6. წამლის მოქმედების მექანიზმების, გვერდითი ეფექტების, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული მოქმედების, გაცემის რეჟიმს (რეცეპტით ან ურეცეპტოდ). ფლობს ესენციალური ნუსხის შესახებ ინფორმაციას;

1.7. ფარმაციის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო სივრცეს ფარმაციის სფეროს ორგანიზაციის, ფარმაცევტული მენეჯმენტის და მარკეტინგის, სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო სისტემის თავისებურებებს.

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგი ერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

ბაკალავრიატის საფეხურის შესაბამისად მიღებულ ცოდნას იყენებს პრაქტიკაში და შეუძლია:

2.1. სამკურნალო საშუალებების, მისი მოსამზადებელი აქტიური და არა აქტიური სუბსტანციების სტანდარტიზაცია და ანალიზი, მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია და სათანადო დასკვნის გაკეთება;

2.2. წამლის ფორმების მომზადება სააფთიაქო პირობებში და წარმოებაში, GMP-ს და GLP-ის სტანდარტების მიხედვით. რომელიც გამოყენება სააფთიაქო და საწარმოო პირობებში, საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიებში;

2.3. ფარმაცევტული ინფორმაციის იდენტიფიცირება, მოგროვება, ანალიზი და გადაწყვეტილების მიღება;

2.4. საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისი ფარმაცევტული პრაქტიკული საქმიანობის შესრულება შესაბამისი პრინციპებისა და პროცედურების გამოყენების საფუძველზე;

2.5. ფარმაცევტულ საქმიანობასთან დაკავშირებული ეთიკური, პროფესიონალური, უსაფრთხოების და ჰიგიენური ნორმების გამოყენება მოსახლეობისათვის რაციონალური ფარმაკოთერაპიული მომსახურების უზრუნველსაყოფად.

3. დასკვნის უნარი

3.1. ფარმაციის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;

3.2. ანალიზისა და შეფასების უნარების გამოყენება ფარმაცევტულ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად და გადაწყვეტილების მისაღებად;

3.3. პრაქტიკულ საქმიანობაში დამოუკიდებლობის დემონსტრირება;

3.4. პერსონალური მიზნების დასახვა და დროისა და კონკრეტული ამოცანების მართვა დაგეგმილ ვადაში შესრულების მიზნით.

4. **კომუნიკაციის უნარი** – იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება;

- 4.1. ზეპირი, წერილობითი და ვიზუალური ფორმებით კომუნიკაცია თავისი პროფესიული საქმიანობის შესახებ, როგორც მშობლიურ და ინგლისურ ენაზე;
- 4.2. აქტიური მონაწილეობა ჯგუფურ დისკუსიებში, პასუხისმგებლობის აღება თავის მიერ შესრულებულ სამუშაოზე;
- 4.3. პროფესიული ეთიკისა და დეონტოლოგიის დემონსტრირება;
- 4.4. საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტის გამოყენება;

5. სწავლის უნარი

5.1 შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.

6. ღირებულებები

6.1 ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და დამკვიდრებისკენ სწრაფვა;


6.2 სტუდენტს აქვს ფარმაცევტული ეთიკის ნორმების ცოდნა და იღწვის მათ დასამკვიდრებლად.

დასაქმების სფერო



საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს პროფილის მიხედვით შეუძლია წარმატებით დასაქმდეს ავთაიქებში, ფარმაცევტულ საწარმოებში, წამლის ხარისხის საკონტროლო და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ ლაბორატორიებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა



შეფასების ზოგადი წესები:

- სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანისი სტემით;
- მინიმალურ დადებით შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;
- შეფასება ხორციელდება მინიმუმ 4 კომპონენტის საფუძველზე (სასწავლო კურსების შემთხვევაში). შეფასების კრიტერიუმები მოცემულია სილაბუსების მიხედვით.
- აქტივობა- 20 (მაქსიმალური ქულა)
- პირველი შუალედური გამოცდა- 20 (მაქსიმალური ქულა)
- მეორე შუალედური გამოცდა- 20 (მაქსიმალური ქულა)
- დასკვნითი გამოცდა- (საბოლოო გამოცდა) -40 (მაქსიმალური ქულა)

სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

- ა) შუალედურ შეფასებებს;
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

შეფასების რანჟირება

(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამაში უცხოენის კომპონენტის დაძლევის პირობები:



საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხოური ენის კომპონენტი დაძლეულად ჩაეთვლება სტუდენტს მხოლოდ ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ერთ-ერთი სერტიფიკატის წარდგენის შემდეგ.

საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხოური ენის კომპონენტის დაძლევა ხდება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტმა უნდა წარადგინოს ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი;

ბ) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა, რომელსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური ენა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა წარუდგინოს ქვემოთმითითებული ერთ-ერთი სერტიფიკატი:

ტოიფელი (TOEFL PBT)	ტოიფელი (TOEFL IBT)	ბრიტანეთის საბჭოსა და ემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS)	ბრიტანეთის საბჭოსა და ემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam)
ქულათა ოდენობა: არანაკლებ 513 ქულა	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 65 ქულა	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა	ცოდნის დონე: არანაკლებ FCE

გ) საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტმა, რომელსაც ერთიანი ეროვნული

გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა სხვა უცხოური ენა, გარდა ინგლისურისა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა წარუდგინოს ქვემოთმიითებული ერთ-ერთი სერტიფიკატი:

ტოიფელი (TOEFL PBT)	ტოიფელი (TOEFL IBT)	ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS)	ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam)
ქულათა ოდენობა: არანაკლებ 437 ქულა	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 41 ქულა	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 4,0 ქულა	ცოდნის დონე: არანაკლებ PET

ამასთანავე, ზემოაღნიშნული სერტიფიკატების შესატყვის დონეზე უცხოური ენის ცოდნის დადასტურების მიზნით სტუდენტი უფლებამოსილია ჩააბაროს:

ა) სსიპ – გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ინგლისური ენის სასერტიფიკაციო გამოცდა;

ბ) ასევე იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინგლისური ენის სასერტიფიკაციო გამოცდა, რომელსაც ამ საქმიანობის უფლება გააჩნია.

(შენიშვნა: უცხო ენის სერტიფიკატის ქონა არ ვრცელდება 2011 წლამდე ჩარიცხულ სტუდენტებზე).